სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 93

ქ.გორი 2019 წელი.

ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის **კონსტანტინე თავზარაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ანტგეო”** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ მაისურაძეს სახით. **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პაუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „SMP190000955“ გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე „სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 13 ბრძანებთ დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 112 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:**

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: 2019 წლის სახელმწიფო (ცენტრალური) ბიუჯეტის სახსრებით: სამშენებლო მასალების და დამხმარე სამშენებლო მასალების **(CPV 44100000)** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: **სასმელი წყლის მილები - ფასების ცხრილი სანართი №1-ის შეაბამისად /CPV 44163100/;**

3. ხელშეკრულებისსაერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ღირებულება და საერთო ღირებულება წარმოდგენილია დანართი №1-ის სახით, რაც თან ერთვის №92 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **9 968 (ცხრაათას ცხრაას სამოცდარვა)** ლარს, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. საქონლის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **10 (ათი) სამუშაო დღეში.**

4.2 მიწოდების ადგილია - გორის მუნიციპალიტეტის სოფელი საყავრე – **მიწოდების (ტრანსპორტირების) ხარჯები შედის საქონლის ღირებულებაში.**

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად უნაკლო საქონელი..

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი-ინსპექტირება

5.1შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის ფაქტიური მიწოდების შემდეგ.

5.2მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას, განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს: გორის მინიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საყავრეს ადმინისტრაციულ ერთეულში გია ოქროპირიძე.

5..3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ანგარიშსწორება და ფასები

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების გაფორმებიდან არა უგვიანეს **10 სამუშაო** დღის განმავლობაში.

6.3 დაფინანსების წყარო – **სახელმწიფო ბიუჯეტი - „სოფლის პროგრამა"**

6.4 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.5 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. საქონლის ხარისხი და გარანტია - „საგარანტიო პირობა."

7.1 პროდუქციის მიწოდებიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 1 (ერთი) წლის განმავლობაში, რაიმე ნაკლის ან/და ქარხნული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია - ახლით შეცვალოს საქონელი და გამოასწოროს ხარვეზი, რაზეც განესაზღვრება 10 (ათი) სამუშაო დღე.

7.2 აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ზიანის (წუნდებული პროდუქციის სახელშეკრულებო ღირებულების) 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრისმიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულებისპირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის

სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივადშეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

11.2 ხელშეკრულების ცაკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან;

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგანწერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.ინსპექტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებათან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია **2019 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.**

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები,მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთანურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **PDF** ფაილის სახით და ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი
გორის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს „ანტგეო“**
ს/კ 218086087	**ს/კ 418474136**
გორი, ფერაძის №5	**ქ. გორი, ცხინვალის გზატ. მე-3 კმ.**
სახელმწიფო ხაზინა	**„თიბისი ბანკი“**
კოდი: TRESGE22	**TBCBGE22**
ა/№ 300843460	**GE 13TB 7958 8360 2010 0003**
გორის მუნიციპალიტეტის მერი	**შპს „ანტგეო“-ს დირექტორი**
კონსტანტინე თავზარაშვილი	**ავთანდილ მაისურაძე**

Gori Municipality

Digitally signed by Gori Municipality
Date: 2019.09.03 13:49:31 +04'00'

დანართი №1 - ფასების ცხრილი

#	პროდუქციის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ღირ.	ჯამი
1	**სასმელი წყლის მილი - 40*8 P-100**	მეტრი	5200	1.65	8580
2	**გამანაწილებელი მილი 20*6**	მეტრი	1100	0.8	880
3	**მუფტა 40***	ცალი	35	4.2	147
4	**უნაგირი 40*20**	ცალი	20	2	40
5	**მუხლი 20***	ცალი	20	1.5	30
6	**ონკანი 20* - შიდა ხრახნით**	ცალი	40	2.5	100
7	**გადამყვანი 20* - გარე ხრახნით**	ცალი	100	1	100
8	**საცობი 40***	ცალი	2	6	12
9	**მუფტა 20***	ცალი	30	1.5	45
10	**ონკანი 40* - შიდა ხრახნით**	ცალი	2	8	16
11	**გადამყვანი 40* - გარე ხრახნით**	ცალი	4	4.5	18
9	**საერთო ღირებულება**				**9968.00**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მშენებელი-10“
პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანო
„MSHENEBELI-10” LTD
CERTIFICATION OF PRODUCTION
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №32/34
№32/34 A. Kazbegi Ave., Tbilisi.
პროდუქციის ნებაყოფლობითი სერტიფიკაცია Voluntary Certification of Product

სერტიფიკატის ბლანკის ნომერი №
Number of Certificate Form # AG-422

შესაბამისობის სერტიფიკატი
CERTIFICATE OF CONFORMITY

ძალაშია “05” ნოემბერი 2018 წ-დან “05” ნოემბერი 2019 წ-მდე
Valid from “05” November 2018 till “05” November 2019

ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ
HEREBY IT IS CERTIFIED THAT PROPERLY IDENTIFIED PRODUCTION

მილი PE-100, D-75მმ, SDR-17,0	სეკ კოდი 25.21.21.
Pipe PE-100, D-75მმ, SDR-17,0	Code: GSCP 25.21.21.
სერიული წარმოება	სეს სნ კოდი 3917
Serial production	Code: CNIEA 3917

ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ:
PRODUCER:
შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“, ს/კ 232558354
„GEORGIAN PLASTIC PIPES“ LTD, ID 232558354
საქართველო, კასპის რაიონი, სადგური მეტეხი
Station Metekhi, Kaspi, Georgia

ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ:
CONFORMS TO THE REQUIREMENTS OF NORMATIVE DOCUMENTS:

გოსტ 18599-2001 „დაწნევითი მილები პოლიეთილენის" ტექნიკური პირობები
ცვლილება №1, ცხრ.№2, ცხრ.№3; პ.5.2. ცხრ.№5
GOST 18599-2001 „Polyethylene pressure pipes. Specifications“
substitution №1 sch№2; sch№3; p.5.2. sch№5

ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ

ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ: სს „საქსაშენმეცნიერება“ საშენი მასალებისა
BASIS FOR ISSUING CERTIFICATE: და ნაკეთობების ტესტირების ცენტრის ოქმი №47, 31.10.2018წ.
Joint Stock Company „Saksashenmetsniereba“ Testing center of
building materials and construction Test report №47, 31.10.2018წ.

ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ
Control once in a year

ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ
HEAD OF THE BODY
ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲐ
Signature
/ ე. მახარობლიძე
E. Makharoblidze /

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ
EXPERT
ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲐ
Signature
/ პ. პიტიურიშვილი
P. Pitiurishvili /

Ბ. Ა.